საქართველოს საინვესტიციო ლანდშაფტი:

ჩინური და დასავლური ინვესტიციების შედარებითი ანალიზი

(2018–2025 წწ)

ნაწილი II

სამოქალაქო იდეა

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩინეთიდან 3

გრაფიკი #1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2015-2025) 4

გრაფიკი #2: პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთიდან (2010-2024) 5

გრაფიკი #3: პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთიდან (2018 - 2024) 6

გრაფიკი #4: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2010-2025 წ. **აშშ** 8

გრაფიკი #5: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2018-2025 წ. **აშშ** 8

გრაფიკი #6: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2010-2025წ. **გაერთიანებული სამეფო** 9

გრაფიკი #7: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ. **გაერთიანებული სამეფო** 10

გრაფიკი #8: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ. **ნიდერლანდები** 10

გრაფიკი #9: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ. **მალტა** 11

გრაფიკი #10: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ. **ჩეხეთი** 12

დასკვნა 14

გრაფიკი #11: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2023 IV კვ. - 2025წ. I კვ. **14**

შესავალი

„ვფიქრობ, რომ ჩინეთი არის სწორედ ის ზესახელმწიფო, რომელსაც ყველამ უნდა მიბაძოს.“

ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე

05.06.2025.

ჩინეთთან დიპლომატიურ-პოლიტიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია „ქართული ოცნების“ მიმდინარე ანტი-დასავლური საგარეო კურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად იქცა. ევროკავშირთან ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, დე-ფაქტო მმართველი პარტიის წარმომადგენლები საკუთარი ელექტორატის „გულის მოგებას“ პეკინთან ეკონომიკური თანამშრომლობის სტატისტიკურ მონაცემებზე აპელირებით ცდილობენ. თუმცა, როგორც „სამოქალაქო იდეას“ არაერთმა კვლევამ აჩვენა, „ქართული ოცნების“ განცხადებები ხშირ შემთხვევაში რეალობის დამახინჯებულ სურათს წარმოადგენს.

ამჯერად, „სამოქალაქო იდეა“ წარმოგიდგენთ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ 2018-2025 წლებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზს. ანგარიში მომზადებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ტენდენციებს, რომლებიც „სამოქალაქო იდეას“ 2024 წლის ანგარიშშიც გამოიკვეთა:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი კვლავ ძალიან მცირეა.

ჩინეთი კვლავაც ვერ ხვდება საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეულში.

საინვესტიციო ჩართულობის კუთხით, ჩინეთი საქართველოს წამყვან დასავლელ პარტნიორებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩინეთიდან (2018 - 2025 წლები)

2010-2025 წლებში საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთო ჯამში 743 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

! საყურადღებოა, რომ საქართველოში ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ არსებული ოფიციალური სტატისტიკა განსხვავდება ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებებისგან:

"რაც შეეხება ჩინეთს, ის საქართველოს ასევე პერსპექტიულ საინვესტიციო გარემოდ მიიჩნევს და მუდამ მისი უდიდესი ინვესტორი იყო, რომლის ინვესტიციებიც ჯამში 800 მილიონ აშშ დოლარს აღემატება."

საქართველოში ჩინეთის საელჩოს მრჩეველი, ჭაო ჩუანი, 25.06.2024.

„ჩინეთისთვისაც პერსპექტიულია საქართველოში ინვესტირება, საქართველოში ჯამური ინვესტიცია 800 მილიონ აშშ დოლარს აღემატება."

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი, ჭოუ ციენი, 20.07.2024.

წლები	პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთი (მლნ. აშშ დოლარი)
2010	-7 882,0
2011	30 382,7
2012	70 156,8
2013	101 129,7
2014	220 099,2
2015	66 947,6
2016	25 480,8

2017	19 364,4
2018	75 991,1
2019	44 750,0
2020	-35 132,0
2021	-27 849,3
2022	43 700,1
2023	98 987,6
2024	6 217,2
I კვ. 2025*	11 169,3
საერთო ჯამში	743 513,1

2015-2025 წლების მონაცემების მიხედვით, ჩინეთი საქართველოს უდიდესი ინვესტორების ათეულშიც კი არ ყოფილა და გაცილებით უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა არა მხოლოდ მასზე დიდი ეკონომიკის მქონე ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი, არამედ, მაგალითად, ცალკე აღებული ნიდერლანდები, ჩეხეთი და მალტა.

გრაფიკი #1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2015-2025 I კვ. (მლნ.აშშ დოლარი)



2010-2025 წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ჩინეთიდან პირდაპირი ინვესტიციების ნაკადმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია 2014 წელს (220 მილიონი აშშ დოლარი). მას შემდეგ, ჩინეთიდან პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კვლავ კლება დაიწყო და 2020 წლისთვის, ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია.

გრაფიკი #2: პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთიდან. 2010-2024 (მლნ.აშშ დოლარი)



აქვე აღსანიშნავია, რომ ჩინეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი შემცირება დაკავშირებულია როგორც კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულ გლობალურ სტაგნაციასა და რეცესიასთან, ისე სხვა საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორებთანაც. თუმცა, 2024 წელს ჩინეთიდან ინვესტიციები 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით, დაახლოებით 93,7 %-ით შემცირდა და სულ 6,2 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

გრაფიკი #3: პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთიდან 2018 - 2024 (მლნ.აშშ დოლარი)



ამდენად, პანდემიის დასრულების შემდეგაც, საქართველოში ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არათუ გაიზარდა, არამედ პანდემიამდელ პერიოდსაც კი ვერ დაუბრუნდა. კერძოდ, 2024 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2019 წლის მაჩვენებელთან (44,7 მილიონი აშშ დოლარი) შედარებით დაახლოებით 86 %-ით იყო შემცირებული (6,2 მილიონი აშშ დოლარი).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დასავლეთიდან

„ქართული ოცნების“ ანტი-დასავლურმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ საქართველო-ევროკავშირის და საქართველო-აშშ-ის დიპლომატიურ ურთიერთობებზე, არამედ შეასუსტა დასავლეთთან წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ბიზნესსკავშირებიც. შედეგად, საქართველოში დასავლეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2023 წლიდან მოყოლებული საგრძნობლად შემცირდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა, შეძლო თუ არა „ქართული ოცნების“ „სანდო“ სტრატეგიულმა პარტნიორმა - ჩინეთმა, დასავლური ინვესტიციების ჩანაცვლება?

წარმოგიდგენთ 2024 წელს საქართველოს უმსხვილესი ინვესტორების ათეულის სიას:

ქვეყნები	მლნ. აშშ დოლარი
გაერთიანებული სამეფო	431 125,4
ნიდერლანდები	230 864,6
მალტა	191 706,1
ესპანეთი	191 015,6
თურქეთი	110 270,1
აზერბაიჯანი	83 939,6
რუსეთი	71 389,8
აშშ	71 282,3
იაპონია	63 955,2
გერმანია	56 172,7

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი ცხადყოფს, 2024 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავ ვერ მოხვდა საქართველოს 10 უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანას შორის. უფრო მეტიც, 2024 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მიხედვით, ჩინეთი 33-ე ადგილს იკავებდა და ჩამორჩებოდა ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორებიცაა ყაზახეთი (მე-16), პანამა (მე-19) და ინდოეთი (32-ე).

რაც შეეხება **ამერიკის შეერთებულ შტატებს**, რომელთანაც „ქართულმა ოცნებამ“ სტრატეგიული პარტნიორობა დაკარგა, 2024 წლის მონაცემებით, ის კვლავაც საქართველოს უმსხვილეს ინვესტორებს შორის რჩება.

გრაფიკი #4: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2010-2025 წ. **აშშ** (მლნ. აშშ დოლარი)



უფრო მეტიც, აშშ-დან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშ-ვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ვაშინგტონის ინვესტიციები მაინც არსებითად აღემატება პეკინის ანალოგიურ მაჩვენებელს. მხოლოდ 2024 წელს, ამერიკიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 71 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც ჩინეთის მიერ საქართველოში 2024 წელს განხორციელებულ ინვესტიციებს (6.2 მილიონი აშშ დოლარი) თითქმის 11-ჯერ აჭარბებდა.

გრაფიკი #5: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2018-2025 წ. **აშშ** (მლნ. აშშ დოლარი)



ამრიგად, როგორც პანდემიამდე, ისე პანდემიის შემდგომ პერიოდში, აშშ-ის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ჩინეთის მაჩვენებელს. ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა საქართველოს სხვა დასავლელი პარტნიორების შემთხვევაშიც.

როგორც 2015-2025 წლების ერთობლივი მონაცემები, ისე 2024 წლის დინამიკა ცხადყოფს, რომ საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა გაერთიანებული სამეფოა. კერძოდ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაერთიანებული სამეფოს მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 3.5 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს.

გრაფიკი #6: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2010-2025წ.

გაერთიანებული სამეფო (მლნ. აშშ დოლარი)



მხოლოდ 2024 წელს, გაერთიანებული სამეფოს მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ჩინეთის ანალოგიურ მაჩვენებელს დაახლოებით 69-ჯერ აღემატებოდა და 431 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნეოდა პანდემიამდელ პერიოდშიც: კერძოდ, 2019 წელს გაერთიანებულ სამეფოს ინვესტიციები საქართველოში 371 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ანალოგიური მაჩვენებელი დაახლოებით 8.4-ჯერ ნაკლები იყო და 44 მილიონ აშშ დოლარს აღწევდა.

გრაფიკი #7: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ.

გაერთიანებული სამეფო (მლნ. აშშ დოლარი)



გაერთიანებული სამეფოს მსგავსად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით, ჩინეთი ნიდერლანდებსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. როგორც 2015-2025 წლების მონაცემები, ისე 2024 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ნიდერლანდები საქართველოს 10 უმსხვილეს ინვესტორს შორის ერთ-ერთია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად 2023-2025 წლებში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი კლების ტენდენციისა, ნიდერლანდების მიერ განხორციელებული ინვესტიციები მაინც მნიშვნელოვნად აღემატება ჩინეთისას.

გრაფიკი #8: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ.

ნიდერლანდები (მლნ. აშშ დოლარი)



2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, ნიდერლანდების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაახლოებით 37.3 %-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, 2024 წელს ნიდერლანდებიდან შემოსული ინვესტიციები თითქმის 37-ჯერ აღემატებოდა ჩინეთის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საყურადღებოა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, ჩინეთს მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ არა მხოლოდ დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები, არამედ ისეთი მცირე ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა ჩეხეთი და მალტა.

ქვემოთ წარმოდგენილი შედარებითი ანალიზი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რამდენად აცდენილია ერთმანეთს რეალური მონაცემები და ხელისუფლების დეზინფორმაციული რიტორიკა:

მაგალითად, ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი ყველაზე მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნის მალტას შემთხვევაში, პანდემიის შემდგომ პერიოდში დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა. უფრო მეტიც, 2024 წელს საქართველოში მალტის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 191 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ამ ფონზე, ჩინეთის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მალტის მაჩვენებელზე 30-ჯერ ნაკლები იყო.

გრაფიკი #9: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ. **მალტა** (მლნ. აშშ დოლარი)



ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მალტა წარმოადგენს მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს. 2024 წლისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს მე-2 უდიდეს ეკონომიკას წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც მალტა 122-ე ადგილს იკავებდა. შესაბამისად, განსაკუთრებით საინტერესო და ნიშანდობლივია კონტრასტი, რომელსაც საქართველოში მალტას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ ეკონომიკასთან შედარებით.

რაც შეეხება ჩეხეთს, საქართველოში კიდევ ერთ მსხვილ ინვესტორს, პანდემიის პერიოდშიც კი, ჩეხეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. პანდემიის დასრულებულად გამოცხადებისთანავე, უკვე 2022 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩეხეთიდან 84 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა და ჩინეთის მაჩვენებელს დაახლოებით 41 მილიონი აშშ დოლარით უსწრებდა.

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება 2024 წლისა და 2025 წლის პირველი კვარტალის მონაცემებშიც: 2024 წელს ჩეხეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაახლოებით 8.5 მილიონი აშშ დოლარით აღემატებოდა ჩინეთის მაჩვენებელს, ხოლო 2025 წლის პირველ კვარტალში, ჩეხეთი კვლავაც წინ უსწრებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

გრაფიკი #10: პირდაპირი ინვესტიციები. 2010-2025წ. **ჩეხეთი** (მლნ. აშშ დოლარი)



აქვე, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ პერიოდშიც, ჩინეთიდან საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციები კვლავაც ჩამორჩება საქართველოს დასავლელი პარტნიორების მაჩვენებელს. კერძოდ, 2023-2025 წლების მონაცემების მიხედვით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უცხოური ინვესტიციების მოცულობით, მე-14 ადგილს იკავებს, მაშინ, როდესაც მალტა საქართველოს მე-3 უმსხვილეს ინვესტორს წარმოადგენს:

1. გაერთიანებული სამეფო

2. ნიდერლანდები

3. მალტა

4. აშშ

5. აზერბაიჯანი

6. თურქეთი

7. რუსეთი

8. გერმანია

9. ისრაელი

10. მარშალის კ-ები

11. ავსტრია

12. არაბთა გაერთიანებული საამიროები

13. შვეიცარია

14. ჩინეთი

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018-2025 წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს: მიუხედავად სახელისუფლებო პროპაგანდის მტკიცებისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საქართველოში არც მთავარი და არც მნიშნელოვანი ეკონომიკური მოთამაშეა.

ჩინეთის წილი საქართველოში განხორციელებულ საინვესტიციო კალათაში ძალიან მცირეა და 2023 (მე-4 კვარტალი)-2025 (1-ლი კვარტალი) წლების მონაცემებით, სულ რაღაც 2 პროცენტს შეადგენს.

გრაფიკი #11: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2023 IV კვ. - 2025წ. I კვ.

(მლნ. აშშ დოლარი)



უფრო მეტიც, წლების განმავლობაში ჩინეთი არც უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა ათეულში მოხვედრილა, ხოლო პანდემიის პერიოდში, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან განსხვავებით, ნაცვლად საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისა, ინვესტიციები გაიტანა.

ამრიგად, ჩინეთი საქართველოში საინვესტიციო ჩართულობის კუთხით დასავლეთის ძალიან ბევრ ქვეყანას ჩამორჩება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს წამყვანი პოზიცია გარკვეულწილად მათი მსხვილი ეკონომიკით ახსნება, თუმცა მალტისა და ჩეხეთის შემთხვევები ცხადყოფს, რომ შედარებით მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები მაინც გამოირჩევიან საქართველოში უფრო მაღალი ეკონომიკური აქტიურობით, ვიდრე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.